

ნოა

დეკემბერი
1935 წელი
№ 20
ფასი 50 კაპ.

ნობი

ქართული
საბჭოთა

ნახ. ბ. ნადარეჭვილის



ქართული საბჭოთა
საბჭოთა № 11/1935 49
№ 3

საბჭოთა კლასიკური სკანდინავიური სკანდინავიური სკანდინავიური სკანდინავიური...

[თბ. 39-16 პერიდი]

შენ რას იტყვი თეთრობათ

ვაშისტური

გერმანიაში კრიზისთან დაკავშირებით ცნობილი საკვების ნაკლებობაა. ვაშისტურის ბელადებს იმედი აქვთ, რომ კრიზისი მოახლოება ბაზარზე ბატის ხორცის გამოშვების საშუალებით.

(გაზეთებიდან)

— შენ რას იტყვი, თეთრო ბატო, სიტყვა შენი გვილირს ძვირად. მართებს თუ არ რასისათვის ბატებს თავი გასაწიროდ?

თქვენ სხვა მოდგმის ბატები ხართ, გზა დიადი დაგვისახავს თქვენი ჭკუა, თქვენი ნიჭი ჩვენს არიულ სიბრძნეს სახავს.

„ქმა მმისთვისო, შავ ღლისთვისო“, ნათქვამია თავიდანა და ღლეს ბატთა გმირობის და თავდადების დადგა ხანა.

არიული ბატები ხომ მუდამ იყვნენ რასის მცველი; თავდადების მაგალითი არა ერთი გახსოვთ ძველი.

ვის არ ახსოვს, განსაცდელში რომ ჩაეარდა ერთხელ რომი ტოს ვალები დაესხნენ და აუტეხეს მკაცრი ომი.

რა გზა ქონდათ რომალებს, მიაშურეს ციხის კარებს და გალაენის მაღალ ზღუდეს ფირცხლად თავი შეაფარეს.

მოზღვავებულ მტრის რაზმები შემოევლენ ზღუდეს რკალად, მაგრამ ციხის რკინის კარებს ვეღარ გვეთდა ხმალის ძალა.

გადიოდა უკვალოდ და უშედეგოდ დრო ვით ქარი, ვერც ვადავლო ზღუდე მტერმა, ვერც შელენა ციხის კარი.

მაგრამ დამით, როცა ბინდი არე-მარეს დაეფინა, ტანცმილულ ციხის მცველებს უნებურად ჩაეძინათ.



— მოსოლოგი

დრო იხელთეს მომზდურებმა სასურველი, სანუკვარი, შეაცოცდენ ციხის კედელს, რომ გაეღოთ შიგნით კარი.

და შემდეგ კი ურჩობისთვის რომს დასჯიდენ, ისე მკაცრად, რომ სისხლის ზღვა დამდგარიყო ქვეს აჭყვედენ ტუტად, ნაცრად. შეაცოცდა კედელს მტერი, გალაენის თავს მოდგა ზელი. გუშაგებს კი მშვიდად ძინავთ. ახლო არის განსაცდელია.

განკითხვის დრო მოდის, რომო, რომო, ბედი ჭირს გომზადებს ძინავთ გუშაგთ... არა ძინავთ არიული ჯიშის ბატებს.

აყიყინდენ მტრის ნახვამე საშინელ ხმით, ხმით საზარით, და მით ფეხზე დააყენეს რომაელთა მთელი ჯარი.

იმ ბატებმა რომი იხსნენ ეს არ არის ზღაბარ-მითი, და სხვა ბატებს იმ ხსნით მისცენ თავდადების მაგალითი.

შენც იმ ბატთა შემკვიდრე ხარ, არიული ჯიშის, რასის; შენი სისხლი სხვა სისხლია სემიტურის არა-მსგავსი.

ღლეს კრიზისი დაგვეუფლა, საღრთხეშია ჩვენი რასა, ცხიმი არ გვაქვს, თეთრო ბატო, შენგან ელის მხარე ხსნას. თეთრო ბატო, ხელს გიწოდებ, მოგვევლინე, ბატო, მხსნილად. განსაცდელის ხანა გვიდგას, შენგან ელის რასა შევლას.

„ქმა მმისთვისო, შავ ღლისთვისო“, ნათქვამია თავიდანა, შავი ღლე გვაქვს და ბატების თავდადების დადგა ხანა.

შენ რას იტყვი, თეთრო ბატო, სიტყვა შენი გვილირს ძვირად. მართებს თუ არ რასისათვის ბატებს თავი გასაწიროდ?

მიჯნა





პრინცი: მგელი აღბათ ლომსაც საკმაოდ დაუტოვებს. ნუთუ მთლად შეგამენ, რომ მე ნარჩენი მაინც არ მერგოს!

მგელი და ცხვარი

(იგავი იტალია-აბისინიის შესახებ)

მგელმა ცხვარს უთხრა:—ძმობილო, ხორცი გაქვს გემრიელიო. მის შექმასა და შეუღაბვას დიდი ხანია ველიო.

მიყვარხარ, მიტომ გეძახი ძმობილო და საყვარელსაო და იმედი მაქვს, მაგ ღუმით ჩამიტკბარუნებ უელსაო.

ცხვარმა შეჰკადრა მსუნავსა: — ეს „ძმობა“ სადაურია! ძალდიც კი ძალის ხორცს არ სჭამს, სიყვარული აქვთ ძმურია!

ძმობილო შეძახი და ამ დროს შენ ჩემი შეგმა გწადია. ახეთი ძმობა არ მინდა, სიდანც მოხუღხარ, წადია.

გაბრაზდა მგელი:—როგორ თუ წავიდე ხახამშრალია?!

რაც ვასაჭირო მაღვია, სუყველა შენი ბრალია! რილით მიუგო მას ცხვარმა: — მივირს, რა ჩემი ბრალია?! შორსა ვართ ერთმანეთისგან, გვაშორებს ზღვა და წყალია.

ცურვა არ ვიცი, არც ფრენა, არ მოგხტომივარ კარზედა. ჩემთვის ვარ, ჩამომეხსენი და ნუ ხარ, მგელი, შარზედა.

აენტო მგელი:—ყოფილხარ უზრდელი, მეტიჩარაო. შენი შეგმა რომ მწადია, მიზეზად ესეც კმარაო...

და უელში ეცა მსუნავი. ომი გაჩაღდა ცხარია. ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაბრაზდა,—მაშინ ცხარია.

ი. ხინვალი

„მომღერლები“

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანო „დეიჩე დიპლომატიზე კორესპონდენტი“ საბჭოთა დიპლომატიას ეგნევაში გვიხატავს მეფისტოფელად, რომელიც აცდუნებს ლავალს, რომ არ იყონ საბჭოთა დიპლომატები, გაზეთის აზრით, საფრანგეთი და ინგლისი თავიდანვე დასთანხმდებოდნენ იტალიის მოთხოვნისებზე და მეს ფეშკა-შივით მიართმევდნენ საკუთარ ხელით მეწამულ ზღვას და აბისინიას.

(„პრავდა“)

ფაშისტების დიპლომატებს მარცხზე მოსდით მარცხი და მსოფლიო პოლიტიკა წითლებს მიჰყავთ მარცხნივ

ფაშისტურ გზას ვინც მიჰყვება ჩვენი მით არ მოსწონს, რომ ის მასებს ააცილებს ახალ ომის კოცონს.

აქ ზიდმეტი განმარტებით არ ვიწუხებ თავს. ვისაც რა სურს, „დაამღეროს“ წისქვილმა კი ფქვას.

იძსი.

ნაბ. დონინ

გამოკანდიშვილის საბ. თეატრში „ნიროშვილის გურია“ მიდის. თეატრი სასუსე ხალხით. ვინაირ პირველ რიგში და ვფიქრობა: რატომ შეშვდა მაინცდამაინც ეს პირველი რიგი მეტად ახლოა რამბასთან.

სცენაზე უკმაყოფილო გლეხები თავის ბედს და მზავრულებას წყევლიან.

— უი! უი! თქვე უბედურებო! — წამოდება ჩემს გვერდში მჯდომმა ახალ მოდაზე გამოკობტავებულმა კოაწია ქალმა და სინათლით ლოყაზე ხელი შემოაკრა.

არაფერი მესმის. ჩემი მეზობელი ქალი კი უფრო უმატებს შენიშვნებს, სცენაზე იასობის გამოხატა.

— უი, შენ კი გავსკდა მიწა! რაღა გააპარტახხა? თითო სოფელი მაგ დასაღუბავმა. მაგას რომ უყურო, მაშო, გადაირევა.

— არ გოუშვა გოგოები მაგ წყეულმა! მარა პავლთანა ბიჭი ქე შეიცდინდა გოგოს. უპ! ვაგიწყდათ მიწა, კაცებო! — შემოგვიყურათა კაცებს ჩემმა მეზობელმა.

— რას ვარჩი, შე ქალი; საწყალ ვაცებს? — შეუტია უკანა რიგიდან ახალ გახადამ.

— სს! სირუმე! — ვაისმა პარტერში. ხელით ვჭრავე ყურებს სცენისაკენ, რომ რამე ვაფიქრობო. ჩემი მეზობელი კი უფრო ხმა-ბაღლა ლაბარავობს.

— დედავ, რა არტისტია იგი, დარჩოს რომ თამაშობს, მირაგოთა პირდაპირ, უბედურბო! შე უბედურბო რაზე აყევა მივის ქეულს! ქე იქნებოდი არხეინად შენთვის!

შათმინებიდან გამოსულმა, ესთხოვე ხმადაბლა მაინც ელაპარაკება. კოტა ხნით დარჩებდა. მაგრამ, როგორც კი გამოჩნდა სცენაზე ტარეელ მკლავადე, მაშინვე შესძახა:

— იე! გენაცვა რა ყაბახია, შენგლე მაშკო. მაქიმელოს რა ამბავშია დაარტყა პო! ახლა მოკლავს მკირიშვილი ტარიელს. უყურო, კოტეჩრას ხმას მეშინია, ეს ობერი რომ ვაგარდებ... ეპე, მოკლა. მასე გინდა შენ, მკლავადის მკვლელობის სცენა ბაღე ფორალების სცენამ შესკვალა.

— აი ამიტომ ვაფხდით ჩვენ ფორალებო, ძებო... აი ამიტომ! — გაიძახის სცენაზე სარინა.

— ფორალი ვურულოდ ყაბახს ქეია, მაშკო! — განმარტა ჩემმა მეზობელმა. — ახლა მაგ სიმონას უყურო, რას იზამს, მოკლავს ახლამს.

— უკაცრავად, ქალი, თქვენ როგორც ჩანს ბევრჯერ ვინახავთ ეს პიესა და ახლო ჩვენც მოვეციით საშვალება მოვისმინოთ! — შენიშნა ჩემსავით ადელეგებულმა ქალმა მოქალაქემ.

— თუ არ გინახავთ, რა ჩემი ბრალთა, ვერ ნახეთ მეტე? — მიიყარა ლომის კაცალივით ქალმა.

სცენაზე ვაბრაზებულა გუბერნატორი მისე შეჩრღს უყვირის.

— ჩეტა მისე ამ ჩემს მეზობელს შეუბოვრდეს! — ვუძირობ გუნებაში. აფერ მღვლელოდ გამოჩნდა სცენაზე. ვიღაცა ქანდაბიდან ტიშით შეიგება.


— მოიცა, კაცო შენ. რას უტლიკუნებ მაგ ხელს? მღვდილს უკრავ ტაშს? — შეუბოვრდა ვიღაცემ ქანდაბაზე.



— მღვდილი კი არა, ფორალი მეზობ-
ლობა!
— რა ვიცო ვერ ვინას!
— შენ თუ არ იცი, მე ვიცო!
— მაშ შენთვის მაყიდა ბაღეთი. შენ
ვიყურო?
— მიყურო, ცული ბიჭი ვარ თუ?
— სირუმე ამბინავებო!
— დედა! დედა! რა შესანიშნავი პრესა.
პარტიდარს მონღ ვიტობო, მარა მეტე ბუღრია
არ შეყოფი წახტებდად და იავე ვაგჩერდუ-
ბი! — წუწუნებს ჩემი მეზობელი.
— მაშკო, ახლა ვადაფლებე ბიესა და სა-
ნამ ხალხი არ აშლილს ადვილებიდან, შე წა-

ვალ და პალტოებს გამოვიტან, თორემ ცუ-
რ რა ამბავია? ვერ მიხვალ მეტე ახლოს.
მოქმედებდ და მთავრებულბო არ იყო, რამ
ჩემი მეზობელი წამოღვა, თავისი მსუქანი
ტინი სკამებს შუა ვააქანა და, ბოდიშს კი
ვიბდი, ძლივს გააწია. ვასასელოვლისავენ.
როგში მჯდომ მაყურებლების უკმაყოფილო
ხმებმა აჩოჩქოლეს პარტერი.
— ხედავო უნდა მოვიდო, ხედავო, ეს
ვჯერ რამ დადებ, მაინც მოვალო ყოველ სა-
ღამოს! — ჩაილაპარაკა და პარიზისკის სწო-
ბებით ყარებს შიამურა.
— ნეტავი მას ვინც ხედა შენ გვერდში
დაჯდება.

დონ. კეგრო



სამოცი წლის ხდება აგრ ჩვენი მკვირცხლი ბები სარა, ამ გრძელ გზაზე მან ბეჭებზე ბევრი სუსხი გადიტარა. მაგრამ იგი მუდამ იდგა ჭირსა შინა ვითა კაჟი. ვის შეეძლო მას შებმოდა, ქალი იყო ის, თუნდ ვაჟი.

მესამოცი წელს კი სარას შვილიშვილმა აწყენინა, მაგრამ შემდეგ... შემდეგ სარამ მას თავბუდი აწყევლინა. იყო ასე: ერთ დღეს როცა სამუშაო მორჩა ველად სავარჯიშო მოედნისკენ გაემართა ხოლმე ყველა. ბრიგადელებს სხვა სოფელთან დაენიშნათ შეჯიბრება და სროლაში სავარჯიშოდ ხშირად ჰქონდათ მათ შეკრება სარამ წასვლა მოინდომა, მაგრამ დახეთ შვილისშვილსა! დაუშალა. უთხრა: — ბები, გეკმევე, ალბათ შენ სირცხვილსა, ხუ მოდიხარ, სახლში წადი. შრომის შემდეგ დასასვენად. სროლა ჩვენი საქმი იყოს, ცეცხლის პირად დაჯექ შენა. ვერ მოარტყამ ბები, ნიშანს, და ერთიც რომ ააცილო, ხომ წაუვავთ, ხომ ვავხდებით მთელი სოფლის სასაცილო? ეს თქვა ღვიძლმა შვილიშვილმა, ეს აკადრა ბები სარას. ბები სახტად დარჩა. მაგრამ იქ არა თქვა მაშინ, არა!

წამოვიდა... თვით მიხვდებით, რომ ეწყინა სარას მეტად, მას, ბრიგადირს, მეთაურ ქალს ხედავთ ვინ რა გაუბედა?! წამოვიდა ბები სახლში. ფიქრით მიდის, ნელ ნაბიჯით. ვაიფიქრა: ვნაბოთ, ვინ სჯობს მე ბებერი, თუ შენ ბიჭი?

ხმა გავარდა: ბები სარამ ბებრებით აიყოლა გეკოები იშოვეს და სავარჯიშო აქეთო სროლა. ბევრი აღარ დააყოვნა, ამ ხმას საქმეც მოჰყვა ჩქარა. ფიქროც არ ღირს, რომ ამ საქმეს მოაწყობდა ბები სარა. თურმე მის ხნის ქალებს, კაცებს ყველას თავი შეუყარა, ავარჯიშა და შეჯიბრში ვინ გვინათ დაიბარა.

პარიზელი შავრაზმელების ორგანო „კურნალში“ რეაქციონერი კლემან ვეტელი აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში ხუთმა გმირმა „ერთის დაკვრით მიიღო მარშლის წოდება“ (იგულისხმება ვოროშილოვი, ტუხაჩევსკი, ეგოროვი, ბუდიონი და ბლიუხერი) „ეს უმადლესი წოდება—„შენიშნავს“ კლემანი—ჩვეულებრივ ენიჭებათ იმ გენერლებს, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს... რუსეთის არმიას კი... როგორც ვიცით... არაერთაზრი გამარჯვება არ მოუპოვებია...“ კლემანს „აეიწყლება“

წითელი არმიის გამარჯვება საფრანგეთის, ინგლისელ, გერმანელ, პოლონელ, იაპონელ და სხვა ინტერვენტების კოალიციის წინააღმდეგ.

კლემან გონს მოდი, რას ამბობ, უილაჯო და მკვეხარა, ალბათ სხვაც შენებრ გამღერის ვინც ჩვენზე დაიკვენარა

რა გუღმავიწყი ყოფილხარ! გამოიფხიკე ყურები, ეხლაც გატყვია თქოზე ადგილი ნაპანდურევი.

ინგლისურ გაზეთს „ჰაეროპლანის“ („ვიროპლან“) რედაქტორი გრეი მოითხოვს ინგლისის იტალიასთან შეთანხმებას აბისინიის საკითხში და საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბლოკის შედგენის „იტალიის, გერმანიის, ავსტრიის, პოლონეთის და უნგრეთის მიერ“. გრეი წინდაწინვე

ანაწილებს საბჭოთა უკრაინას გერმანიის და პოლონეთის შორის. („პრავ.“)

ჰკვიან კაცის გოგრაში ხარ მისტერ გრეის ტვინო,— ტიკს რომ ალბობ, მიბასუხე აბა სად გაქვს ღვინო?


სოფლის ყველა გოგო-ბიჭებს შეუსრულდათ ვისაც ოცი, სამოცი წლიანთ რაზმთან ჰქონდათ შეჯიბრება გასაოცი.

ჰა, გამოჩნდა შეჯიბრების ორი რაზმი მონაწილე, ბებრებს სარა მეთაურობს, ხალხი თვალბს ვერ აცილებს. ახალგაზრდებს შვილიშვილი მიუძღვება „ბრძოლის“ ველზე. მას ჰგონია გაიმარჯვებს კანონიერ საფუძველზე.

და დაიწყო სროლა იგი როგორც არის რიგი, წესი, სარა ისერის. შვილიშვილიც მსროლელია უკეთესი. სარას რაზმი არტყამს ნიშანს, არა რჩება შვილიშვილიც. ბებრებს თითქო კუნთები აქვთ და თვალბი გამოიკვლილი. და როდესაც მორჩა სროლა, აინჯვა ურთერთს არც აცალეს, გაეშურენ და ქულები ორივესი გადათვალეს. და აღმოჩნდა: რომ ბებრებმა ახალგაზრდებს წააჩილის ერთი ნიშნით, და ყრმებმა კი, ის ერთი-ლა ააცილეს.

და წამოდგა მაშინ ჩვენი ბრიგადირი ბები სარა. (შვილიშვილი ამის შემდეგ შინ კინალამ გაიბარა). და თქვა: ძმებო, ძვირფასებო, შვილიშვილნო, საყვარელნო, ჩვენ ორთავეს გამარჯვების ამ შეჯიბრში გვერგო ლელო. დე, იცოდეს მუხანათმა და ვერაგმა მტერმა მტყიცელ, ჩვენს ჩვენს მიწას ოფლით სარწყავს ერთ გოჯასაც არვის მივსცემთ. შვილიშვილმა უბასუხა: — გაწყენინე განზრახ, ბები. დღეს შეჯიბრი რომ მოიგე, ამაყად რომ იხედები, — ჩვენიც არის გამარჯვება შვილიშვილთა, ქაბუკების. თქვენც ღირსნი ხართ, ჩემო ბები. მაგრამ ჩვენც ვართ ღირსი ქების მართალი ხარ; ჩვენს ქვეყანას არავინ ჰყავს დღეს ბებრები. დღეს ბედნიერ ცხოვრებაზე ერთნაირად ყველა ვმღერით. ჩვენ ვიხაროთ, ჩვენ ვაშენოთ ეს ცხოვრება მშვენიერი. დე იდარდოს, გასკდეს ბოღმით ჩვენი ქვეყნის ყველა მტერი.

ხოზიკა



იტყვიან — კარგ მთქმელს, კარგი გამგონი უნდაო. ეს თქმულება იმდროინდელია, როცა კარგ მთქმელებს არ ჰყავდათ კარგი გამგონები. ახლა არიან კარგი გამგონები, რომლებიც კარგ მთქმელებს მოითხოვენ. ჩვენც ამ უკანასკნელების შესახებ გვინდა ვილაპარაკოთ. ამიტომ ვიღებთ რაიონის ერთერთ გაზეთს, სულერთია, რომელიც იქნება. თუნდაც აი ეს. ეს რომელი რაიონის გაზეთია? ბაღდათის ყოფილა — „კოლექტიური შეტევა“. ჩვენც ვიწყებთ შეტევას ენის დამახინჯების წინააღმდეგ.

აიღოთ მისი ერთი ნომერი, აი თუნდაც № 41, შეგჩერდეთ მისი უკანასკნელი გვერდის უკანასკნელ სვეტზე და წავიკითხოთ:

ბრძანება № 171

ბაღდ. რაიონის სკოლისადმი

სტატ-ცნობების დაგვიანებისათვის, წეიერათ და თავის დროზე მოუწოდებლობისათვის, რომლებმაც არ შეასრულა ჩვენი მითითებები და მრავალი გაფრთხილებები, რომ გამოისწორებით შეცდომები და ზუსტად ეწარმოებით აღრიცხვიანობის მიმდინარეობა“. აქ წერტილია და ჩვენც შევისვენოთ. თორემ ამაოა კითხვის ავტოქლეტა, რადგან მანაც ვერაფერს გავიგებთ.

ვის (ან რას) ეკუთვნის ეს „რომლებმაც არ შეასრულა“ — „მოუწოდებლობას“ თუ... თუ ვის? ამას ვერ მიხვდებიან ვერც ორიოთას ტირაჟიანი გაზეთის მკითხველები, ვერც პას. ნგ. რედაქტორის მოადგილე ამხ. გრ. ქადაგიძე (თუნდაც ქადაგს მიმართოს) და ვერც ტექსტის ავტორები.

განვაგრძოთ შემდეგ.

„სოფლის საბჭოს თავმჯდომარეებმა ვერ შეხდლეს საქმის მოწესრიგება, რითაც მოწყვეტილია რაიონი და ცენტრი იცოდეს ზუსტად უაღრისი დიდი მნიშვნელობის კამპანიების მიმდინარეობა და ამით უზრუნველყოფს ხელმძღვანელობა. აქედან გამომდინარე ვბრძანებ:

1. მიიღეს უკანასკნელი გაფრთხილება და დაფარებივლი იქნენ... (ჩამოთვლილია სას. საბჭოს აღმრიცხველები).

2. მიიღოს გაფრთხილება შემდეგ სას. საბჭოებს... (ჩამოთვლილია სას. საბჭოები). აქ გაფრთხილეთ. უკვე საკმაოდ მივხვდით, რომ სას. საბჭოს აღმრიცხველები და თავმჯდომარეები უხეიროდ მუშაობენ და ამიტომაც ნათ ღირსეულად სჯიან. მაგრამ ერთს თო სჯიან. მიორი? რად უკუხადობენ მათობას? არ გჯერათ? წაიკითხეთ ამავე ბრძანების გაგრძელება:

3. გამოიახილოს მადლობა ბაღდათის სას. საბჭოს აღმრიცხველ კვაჭანტირაძეს და თავმჯდომარე გიგეშიძეს, პირველი ობჩის აღმრიცხველ ლალიძეს და თავმჯდომარე მხეიძის, ხანის აღმრიცხველ დემეტრაძეს და თავმჯდომარე მინაძეს.

ეგრე გვისაყვედურონ — ესენი კარგად მუშაობენ და მადლობას იმითომ ვუცხადებთო. დიხს. კარგი მუშაობისათვის მადლობა არ დაიშურება, მაგრამ ბრძანების ტექსტიდან არსად ჩანს, რომ ისინი კარგად მუშაობდნენ. მუშაობა დახასიათებულია ცუდად და ამ ცუდ მუშაობაზე დაწერილი ბრძანება № 171. „აქედან გამომდინარე“ მადლობა

როგორი მადლობაა, ეს კი აღარ ვიცით. (ეჰ, სად არის არისტოტელე და მისი ლოლიკა?!). ბრძანების მე-4 მუხლის ბოლო აბზაცში სწერია:

„დაევალოს აღრიცხვის ინსპექტორს ამხ. აღ. ჰიჭინაძეს თვალყური ადევნოს აღრიცხვის სწორ მიმდინარეობას, დანაშავენი მისცეს პასუხისგებაში, შედეგები 15 ნოემბრამდე მომასხენოს განმეორებითი ზომების მისაღებად...“ და სხვა.

ხოლო ამ აბზაცის ბოლოში ხსენებული სტრიქონების მეოთხე სტრიქონიდან იწყება ბრძანების უკანასკნელი მუხლი:

4. „მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა აღრიცხვის ინსპექტორმა ამხ. აღ. ჰიჭინაძემ ხუთი დღე დაავიანა ამ ბრძანების გაფორმება, რისთვისაც გამოეცხადოს საყვედური“.

ახლა კი გასაგებია თუ რატომ დაავიანა ინსპექტორმა ბრძანება! ადვილია. ალბათ იმიტომ, რომ არ დაწერილიყო ახალი ბრძანება № 172 ბათი საყვედურის გამოცხადების შესახებ № 171 ბრძანების გაუფორმებისათვის.

აბა თითონ თქვენ წარმოვიდინეთ, ამხ რაიონის სკოლისადმი, თქვენი ბრძანების წიგნში ასეთი ბრძანება:

1. ვუცხადებ თავისთავს, რომ ამიერიდან მერი ყურადღება მიაქციოს სას. საბჭოების მუშაობას.

2. ვაძღვე თავისთავს კატეგორიულ წინადადებას, რომ მომავალში არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა ბრძანების შედგენის დროს.

3. გამოეცხადოს საყვედური საქმისადმი ფორმალურად მიდგომისათვის...
4. ვუბრძანებ თავისთავს, რომ მან უბრძანებოს რედაქციას შეისწავლოს ქართული გრამატიკა და მართლწერის ელემენტარული ნორმები.

5. ვიცხადებ თავისთავისთვის მადლობას ამ თვითკრიტიკის მიღებისათვის.

აი ასეთი ბრძანება ხომ წარმოუდგენელია? წარმოუდგენელია, მიუხედავად იმისა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა.

ზმუი

იცნეს

ნახ. დონის.



— სმენა! ბატონ მამაჩვენს სალაში!

ინტრიგა



გასტრონომი

ქართული
მედიცინა

ამხანაგ ბაბაშკინს, რომელიც ადგილკომის
განთავსებასთან დაკავშირებული მდივანი იყო, ეწვია
უბედურება:

ათა წლის განმავლობაში ბაბაშკინს ყო-
ველთვის, ირჩევდნენ ადგილკომის მდივანად.
ახლა კი მეთერთმეტე წლის თავზე არ მოი-
სურვის და არ აირჩიეს.

ბაბაშკინისთვის გაუგებარი იყო ეს ამბავი.

დასაწყისში საქმე კარგად მიდიოდა. თავ-
მჯდომარემ მოხსენება გააკეთა ადგილკომის
მუშაობის შესახებ. მასსა მას ყურადღებით
უსმენდა. თვით ბაბაშკინი პრეზიდიუმში იჯ-
და და ზვირად თვალს აცეცებდა ხანდახან
ბაბაშკინი რაღაცას ჩაიწერდა თავმჯდომარის
მოხსენებიდან. ორჯერ ყველას გასაგონად
წამოიძახა კიდევ: — „სწორია“. ერთხელ —
როცა სიტყვა ეხებოდა აქტური ბრძოლის
აუცილებლობას. საერთო კრებებზე ხალხის
დაუსწრებლობის წინააღმდეგ, მეორეჯერ —
როცა კრება ეხებოდა პროფკომის გაძლიე-
რებას.

ახვათა შორის არავინ იცოდა, რას ნიშ-
ნავდა პროფკომის, არ იცოდა თვით ბაბაშ-
კინსაც. ერთი სიტყვით დასაწყისში საქმე ჩი-
ნებულად მიდიოდა...

— ახლა კი შევუდგეთ არჩევნებს! — წარ-
მოთქვა თავმჯდომარემ.

შეუდგნენ არჩევნებს...

წინაშე თავმჯდომარე კანდიდატების სიას
წაიკითხა. ბაბაშკინი წამოდგებოდა და
ხალხს მიმართავდა: „წინადადება — სია მი-
ვიღოთ მთლიანად“

— მართალია, მართალია — გაისმოდა ძა-
ხლი.

— კინკი ეყოფართ! — იტყოდა თავმჯდო-
მარე. წინადადებას კენჭს უყრიდნენ სიას
მთლიანად მიიღებდნენ დასაწყისში სიხარუ-
ლით სახლისკენ გარბოდნენ. ბაბაშკინისთვის
იწყობოდა ახალი შრომის წელი განთავსულ-
ლებული მდივანისა. ის კრებებს მართავდა.
მის წინააღმდეგ ზოგჯერ ინტრიგას მართავ-
დნენ. ისიც ზოგს ინტრიგას უმართავდა. საუე-
ხოვო ცხოვრება იყო.

დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა კრებამ
არ მოსურდა სიის მთლიანად მიღება.

— უარი როგორ შეიძლება! წინადადებას
უნდა უყაროთ კენჭი (კალ-კალკი) კანდიდა-
ტების კენჭის ყრა ორ საათს გაატანს, სიით
კი — ხოთ წუფს! — დემოგოგიურად გაიძახო-
და ბაბაშკინი.

მასსა კი რაღაც ბავშურ ჯუტობას იჩენ-
და.

ბაბაშკინისათვის მძიმე იყო პერსონალუ-
რი კენჭის ყრა. გრძობდა, თითქოს ტრიგული
იყო. ვიღაც ახალგაზრდა ქალი, კავშირის
წყვეტი სპასიუხისმგებლოდ გაიძახოდა. თით-
ქოს ბაბაშკინი ქალთა შორის მუშაობას
უწყობდაო ექვიოდა.

ამაღ შემოიკ იწყობა საშინელი სიზმარი.
ბაბაშკინს კინკი უყარეს და აღარ აირჩიეს.
პირველად ბაბაშკინს იგონა, რომ ეს ხუმრო-
ბა იყო აი, საცაა თავმჯდომარე წამოდგება
და ლომილით მიმართავს მას: „გახუმრეთ
ამხ. ბაბაშკინ!“... თავმჯდომარე ხელობდა უყ-
რის კენჭს და ბავშვით კრება ერთხმად აირ-
ჩევს ასე მას.

მაგრამ ასე არ მოხდა.

ცოლი იმდინათ დარწმუნებული იყო იმა-
შიც, რომ ამხ ბაბაშკინს აირჩივდნენ, რომ
მას არც უკითხავს მისთვის არჩევნების შე-



„საუცხოო“ სანახაობა, „გასტრონომის“ ვიტრინის წინ, კიროვის ქუჩაზე... წვიმიან-
დღეს...

დევების შესახებ.

მეორე დღეს ბაბაშკინი გარბის საოლქო
პროფსაბჭოში და აცხადებს რომ მას ინტრიგა
მოუწყვეს.

— მე არ ამირჩიეს! — ეუბნებოდა ყველას
იმ ტონით, რა ტონითაც ამბობენ: „მე გამ-
ჭურდეს“.

როცა სახლში დაბრუნდა, ცოლთან მოუხ-
და სერიოზული ლაპარაკი.

— აა, ერთი მიბრძანეთ, საიდან და რო-
გორ უნდა მიიღო ხელფასი? — შეეკითხა მას
ცოლი მრისხანე გამომეტყველებით.

— უნდა გადავიდე, სხვა სამუშაოზე, გა-
მოცილილება დიდი მაქვს, საკმაო სტაჟი, ჩე-
მი პროფესიით მე არ დავიღუპები.

— რა პროფესიით?

— რას ამბობ? მე ხომ პროფმუშაკი ვარ,
ძველი პროფმუშაკი!

ცოლმა ირონიულად გაიღმა და უპასუხა
მას:

— შენი ბედი, რომ მანქანაზე შემოძლია
ბეჭდვას!

სალამოს ცოლი აღელვებული დაბრუნდა
შინ და ბაბაშკინს უთხრა:

— მიტრო, მე ყველაფერი ნოვაწყე: მეზო-
ბელ სახლის-პატრონს მოველაპარაკე. სწო-
რედ მათ სჭირდებათ მეზოვი, ჯამაგირი
75 მ. ხვალისა დაიწყებ მუშაობას.

ბაბაშკინი იჯდა უსიტყვოდ და შესცქე-
როდა თაროზე დადებულ მარქის თხზულე-
ბათა კრებულს, რომლისთვის მას პროფკავ-
შირებში მძიმე მუშაობის გამო ხელიც კი არ
ებლო.

— ეს ინტრიგებია! — ასე ამას არ დავტო-
ვებ! — ამბობდა თავისთვის მიტრო ბაბაშ-
კინი.

ს. პ.

ფაბრიკანტი პეკუნი არასოდეს დაბრუნებულა შინ ისეთ კარგ ხასიათზე, როგორც დღეს დაბრუნდა.

ცოლსაც ძალიან გაუხარდა, რომ ქმარი კარგ ხასიათზე იყო.

— მიზეზი? — მისივე სიტყვით შეეკითხა ცოლს პეკუნი. — ჩემი მხიარულების მიზეზი ის არის, რომ ინტენერმა შიმშილმა ჩვენი დაკვეთით გამოიგონა ისეთი მანქანა, რომელიც წინანდელი მისი მანქანით მთელი დღის განმავლობაში დამზადებულ საქონელს ანადგურებს ოციოდე წუთში.

— რას ამბობ? ეს ხომ დალუპავა?! — გაიკვირვა ცოლმა.

— პირიქით, ამაშია ჩვენი ერთადერთი სანა. ამჟამად ყველგან ბევრი საქონელია დამზადებული. ბაზარს აღარ შეუძლია მისი გასაღება, რადგან იზრდება უმუშევრობა და ცეცმა ხელფასი. ამიტომ უნდა განადგურდეს დამზადებული საქონელი, რომ ბაზარმა

იგრძნოს საქონლის ნაკლებობა. ამით საქონელზე ფასი აიწვევს და მოგება მეტი იქნება.

— მაინც ვერ გაიგია!

— ეს ერთი კარგი საქმე. ახლა მეორე: უკვე გამოვიგონეთ ისეთი მანქანა, რომელიც ორი კაცის მაგიერ თხოულობს ოც კაცს.

— მერმე-და ეს კარგია?

— ძალიან კარგი, საქმე იმაშია, რომ ამჟამად უამრავი უმუშევრები არიან მათი სამუშაო ენერჯია უფრო იაფი ჯდება, ვიდრე საწვავი მასალებია: ბენზინის, მანკოლისა და სხვების. გარდა ამისა ასეთი მანქანები, რაკი ისინი ბევრ სამუშაო ძალას თხოულობენ, შეამცირებენ უმუშევრებს, რომელთა შორის იზრდება რევოლუციონური სულიკვეთება.

— გახშირდა მშვიერთა და უმუშევართა დემონსტრაციები და გამოსვლები!

— სწორედ გითხრა, ვერ გაიგია რომელი სჯობია: როცა მასები მშვიერები არიან თუ — მადრები?

— მე მგონია სჯობია, როცა მადრები არიან, რადგან მაშინ დაკმაყოფილებული არიან და რევოლუციაზე აღარ ხელჩაქნიან.

— მე პირიქით მგონია. მადრები როცა არიან, მეტ ძალასა და ენერჯიას გრძობენ და რევოლუციის ხასიათზე უფრო მოდიან, ხოლო როცა მშვიერები იქნებიან, სისუსტისაგან აღარ ექნებათ ბრძოლისა და წინააღმდეგობის უნარი.

— ამ ლაპარაკში იყვნენ ცოლ-ქმარი, რომ ქუჩაში გაზეთის გამყიდველებმა ძაბილია შორთეს:

— „იტალია აბისინის ომი“... „აბისინიელებმა ხელთ იგდეს იტალიელთა უამრავი სამხედრო იარაღები“.

— რაო? რაო? — შეეკითხა პეკუნი ცოლს, — კარგად ვერ გავგონე.

— არაფერი. იტალიელებმა აბისინიელები დაამარცხეს და წაართვეს დიდძალი სამხედრო იარაღი! — იცრუა ცოლმა, რომ პეკუნი ცოლ ხასიათზე არ დაეკაროყო. ცოლმა იცოდა, რომ პეკუნი იტალიას დიდ პატივს სცემდა და აწვდიდა სამხედრო იარაღებს.

მაგრამ პეკუნს ეწყინა ცოლის პასუხი.

— ეს ცუდია! — თქვა მან და წარბეჭდა შუკრა.

— არა აბისინიელებმა, არამედ იტალიელებმა დაამარცხეს და ხელთ იგდეს მტრის სამხედრო იარაღები! — კიდევ განუმარტავალბად ცოლმა ქმარს.

— გავიგე და, მეც ეს შეწყინა!

— რატომ? ავი შენ იტალიელების მეგობარი ხარ.

— იმდენად, რამდენადაც ჩემგან ყოველობენ სამხედრო იარაღებს, ჩემი ინტერესები შოითხოვენ, რომ აბისინიელებმა გაანადგურონ იტალიელთა სამხედრო იარაღები, რომ იტალიამ ისევ იყიდოს ჩემგან იარაღები.

— რაკი მაგრეა, მართალს გეტყვი: აბისინიელებს გაუნადგურებიათ და ხელში ჩაუგლიათ იტალიის უამრავი სამხედრო იარაღები! — ახლა კი სიმართლე უთხრა ცოლმა.

— შენ მეზუძრები, რომ გამახარო! — არ დაიჯერა პეკუნმა.

ამ დროს მსახურმა გაზეთები შემოიტანა. პეკუნმა მაშინვე გაშალა.

მართალს ამბობდა ცოლი. დეპეშები იტყობინებოდნენ აბისინიელთა გამარჯვებას და იტალიელების მიერ უამრავი სამხედრო იარაღების დაკარგვას. აგრეთვე იაპონიელთა მიერ ჩრდილოეთ ჩინეთში ახალი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს შექმნას.

— თუ ღმერთმა ჰქნა და იტალია-აბისინის კონფლიქტმა ომში ჩაითრია ევროპა, ხოლო იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაება ამერიკაც, მე ისევ გაეზნები მილიარდობა როგორც გაეზნე მსოფლიო ომის დროს და როგორც ვიყავი ამ რამდენი წლის წინანდ საერთო კრიზისის დაწყებამდე! — უთხრა პეკუნმა ცოლს.

— კი მაგრამ იაპონია ხომ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედობს და ჩვენ მას როგორ მივაწვდით იარაღს? — დაეჭვდა ცოლი.

— მირე რა ვუყოთ! სამაგიეროდ იაპონია მოქმედობს ჩემი ინტერესებს სასარგებლოდ!

პეკუნი ისევ კარგ ხასიათზე დადგა და მადიანად შეუღდა სადილის ჭამას.

ისელი.

„საქმის პატი“

ნახ. ო. შმერლინგის



— ეს ჩვენი გაგზავნილი სიტყვის კაცია!
 — როგორი რასაც იტყვის, ყველაფერს შეასრულებს?
 — არა! სიტყვა უშვარს, საქმე კი — არა!



— სამღებროს მითქვამს უბედვის, ვაჟულ, რომ სახელის წინ ნუ წაიკითხავ საბოლოო გაზეთებს. ხომ
ხელავ ვიღაც დონსახელმა მუხამ, სტახანოვმა, ზამის მალა დაგვიკარგა!



ეს სახელი ძველი გვირის
თუმც ძველ ამბებს გადაეცა,
ჩაგრამ ერთი ამირანი
ბათომელებს გვამკობს დღესაც
გერეინ იტყვის მასზე გლახას,
დაყილობს დღე და ღამე,
მას საქმეზე ვერეინ ნახავს,
არც აკეთებს საქმეს რამეს.

მაგრამ მაინც კარგად ცხოვრობს,
არაფერზე აღარ დარდობს
და ის ყალბი საბუთებით,
სადაც უნდა დანაგარდობს.

ესტუმრება ხშირად მოსკოვს.
ის ქართველი სტუდენტი,
დახმარებას ყველას მოსთხოვს.
მირვეული — სულ ხეტიალს.

შემდეგ გასწევს კიევისკენ,
სურს გაეცნოს უკრაინას,
ამბობს, რომ ის მწერალია
და მოითხოვს ხარჯს და ბინას.

იჭიდან სხვებს ჩამოუვლის
ქალაქებს თუ სოფლებს, დაბებს,
ზოგან კინო არტისტია,
ხან ექიმად თავს ასალებს.

მკვიდრი მამის ბოძებულნი
როს სახელი მან გაითქვა,

და ამგვარი მოხერხებით,
თავის გვარიც კი გადაითქვა.
ხან ხარკოვის სტუმარია,
თუმცა ახლა სხვა ვინმეა,
არ შესულა თუმც ხელ საქმედ
მხოლოდ გვარი ბარაბაძე
შეიცვალა შევრაშიედ.

ესეც პოლიტიკა არის
არა სენი ავადობა
გლებს გვარი რას მისცემდა,
და არჩია თავადობა.

მაგრამ ერთხელ ამ „თავადის“
გაცნობილს და ქებულის,
ყველა საქმე საგმირონი
იქნა ერთად გაგებული.

ჩამოართვეს მოწმობები,
რაც კი სადმე შეეძინა,
თან ცოტათი მოსასვენად
მიუჩინეს სულ სხვა ბინა.

მაგრამ თავი დააღწია
(თავადობამ თუ უშველა),
მას შემდეგ სხვა საქმეებით
უფრო თავი ისახელა.

გაემგზავრა ის ბაქოში
ემხიბა და დიდი რიჩხედი
— მწერალი ვარ აჭარული
თქვა, ვმწერლობო რუსულ
სტუდენტობით.

თუ თარგმნას არ დაიზარებთ,
მოგცემთ, თარგმნეთ თუნდაც ათი.
მე გავაცნობთ მათ სიუჟეტს,
აზრი თითონ მიხვდით მათი.

ჩამოთვალა სათაური,
თუ კი რამ სად გავეგონა
მოთხრობა თუ ნოველები
და ლექსების მთელი კონა.

დაუჯერეს, ჩაიწერეს
არ შესულან სულაც ეჭვში
და იმ დღესვე ამირანი
მოათავსეს იქ გაზეთში.

დიდი აზრი, დიდი ცოდნა
ჩვენს ამირანს მიაკუთვნეს.
აჭაური უსაქმური
მწერლად შექმნეს და აკურთხეს:

ახლა, როცა ბათომშია
და უტიფრად ქუჩებს ტყეპნის,
მას თავი დიდ მწერლად მოაქვს
„არა ხარო“ მაშ ვინ ეტყვის?
ი—ძე

მიიღება ხელის მოწერა 1936 წლისათვის
საბირულ-იუმორისტულ ჟურნალში

„ნიანგი“

1936 წელს „ნიანგი“ გამოვა ჩვეულებრივი დიდი ფორმატით.
ჟურნალში მონაწილეობენ:

- ბ. თოდრაი
- ბ. ეული (ყუმბარა)
- მის. ჯავახიშვილი
- ა. გრიშაშვილი
- ბ. ფაშალიშვილი (ფარსხადანი)
- ნ. ლორთქიფანიძე
- ხერ კლდიაშვილი
- ხოზია
- მედუზა
- ა. ხინგელი (ისელი)
- ვ. ქუჩიშვილი
- ბ. გვეტაძე

- გ. ცეცხლაძე
- გერ. შუბიძე (ხეგვირ-ბენ-შეის)
- ალ. მალუღარია (აღლარ-სალ-ლარხანი)
- ხინგიატა
- კ. აღმახიძე
- კ. ბობოხიძე
- შ. შხუნელი
- გ. ივანიშვილი
- გ. ნუცუბიძე (გოგია)
- პ. ობოლი
- ხიმონ-აღა

- კოსტაიდი
- კავნელი ბზიკი
- შხლინსკი ბომბი და სხ.
- მ ხ ა ბ ვ რ მ ბ მ:
- ლ. გუდიაშვილი
- ს. ნადარეიშვილი
- დონი
- მ. კიაურელი
- ი. ქოქიაშვილი
- ლ. შმერლინკი
- ვ. კროტკოვი
- გ. თოიძე
- გ. ისაევი და სხ.

ჟურნალზე ხელის მოწერის ფასი შემდეგია:

- 1 წლით — 12 მან.
- 3 თვით — 3 მან.
- 6 თვით — 6 მან.
- 1 თვით — 1 მან.

ხელის მოწერა მიიღება ფოსტის და სოიუზაჰიატის შველა განყოფილებაში
ქალაქის გეგმიანი მომარაგების გამო ჟურნალის ხელზე გაყიდვა განსაზღვრულია.

სელოვანთა მებოგრული შარუების ალგომიდან

ნახ. ს. ნადარეიშვილის.



ქართული
ბიბლიოთეკა



ს.ნ.

სახალხო არხისი, კომპოზიტორი დიმიტრი აკაიშვილი.

„სტრიკა“

სადღაღო ლიტერატურის საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა ჩვენში დღესაც არიან ნოვატორები, რომლებიც ამოდერნიზებენ ამ ლიტერატურას, ახალი ელემენტები შეაქვთ შიგ. ჩვენ გვქონდა მაგალითად, ბედნიერება, წაგვეკითხა წითელი ჯვრის ქ. მახარაძის განყოფილების საპარიკმახეროს ნიხრი (საპარიკმახერო ახალ სასტუმროშია წოთავსებული). შიგ სწერია:

„წვერის გაპარცვა, გაპარცვა დანით (და არა თოხით—ავტ. თმის ვაკრევა იოჯიკით (ეს ალბათ პატარა ზღარბით — ავტ.) ხინის წყლით დასოღება თმის. თმის დასოღება, შეკვრა წყლით. პირის დაბანა ახალი სალფეთქით. (ეს სალფეთქი ალბათ თხევადი ნივთიერებაა — ავტ.)

ბლანფეს ვაკეთება. ულუაშის ვაკეთება დუგლარი. ნანეტზე აღება... ახლა თავი დაგანებოთ აქაურ ბლანფესს, დუგლარებს და ნანეტებს და სურამში გადავიდეთ. ჩვენ იქ გვქონდა უბედურება შევსულიყავით ყოფ-მუნჯთა თუ უსინათლოთა საზოგადოების საპარიკმახეროში. უნდა აღინიშნოს, რომ სურამელებს ენა გაცილებით დაუხვეწიათ. მოგვეყავს იქაური ნიხრი.

„პირის დაბანვა. ვაკრევა ბოქსიორსკი. ვაკრევა იოჯიკომ. ქალების სტიშკა. პირის გაპარცვა კისრით. ბავშვების სტრიკა“. სახაზავი თხელი.

ჩვენ უნორჩილესად ვთხოვთ ამხანაგ კორექტორებს, ხსენებულ ნიხრების ტექსტს ნუ გაასწორებენ, რადგანაც ჩვენი სურვილია მკითხველამდე საკუთარი სახით მივიღეს როგორც სტრიკა, ისე იოჯიკომი.

ტმრსიბი.

სატრანსპორტო ამოცანები

ქ. ცხაკაიას რკ. გზ. სადგურში ხშირად გაიგონებთ ასეთ ამოცანას: დღეს ცხაკაიას სადგურში ორმოცდაცხრა ლორმა, ოცდამეოცე თხამ და ბატებმა მოიყარეს თავი. რამდენი იქნებოდა ბატი, თუ ყველა ამათ ფეხების რიცხვი 328 უდრის? ანდა:

ჩვენი სადგურის უფროსი და ჩვენივე სადგურის კედლის გაზეთი რომ ერთ დღეს დაბადებულყვენენ, კედლის გაზეთი ოცდაჩვიდმეტჯერ უფრო მეტი ხნისა იქნებოდა ვიდრე ახლა არის. რამდენი ხნისა ყოფილა ჩვენი კედლის გაზეთი თუ სადგურის უფროსი ოცდაჩვიდმეტჯერ მეტი წლისა კედლის გაზეთზე?

ვინაიდან, როგორც ამ ამოცანებიდან სჩანს, ცხაკაიას რკ. გზის სადგურის თანამშრომლები ისეთი „მამაცები“ ყოფილან, რომ არც კი იზრუნებენ ამ ამოცანების ამოხსნისათვის, ამიტომ ნიანგმა იკისროს ამ ამოცანებზე უტყუარი პასუხის გაცემა:

1. ლორებისა და თხების გარდა სადგურში თავი მოუყრიათ: თერთმეტ ბატს და სადგურის კედლის გაზეთის რედაქტორს.
2. სადგურის უფროსი რომ კედლის გაზეთთან ერთად დაბადებულყო, ახლა ერთი წლისა იქნებოდა...

შიგ გაურია კენჭები...

(მაღაროსკარი, დუხეთის რ.) ჩვენმა მეფურნემ, სიკომა ერთი რამ გამოიგონა, განსაცდელისგან დაიხსნა თებრო, მიხა და ნიკოლა:

კბილი სტეიოდა, არ იყო მაღაროსკარში დალაქი, — ვერსად იშოვნეს მკურნალი შორს იყო ტფილის ქალაქი,

სიკომ დააცხო პურები ახალ ტექნიკის დაცვითა, შიგ გაურია კენჭები შეზავებული ნაცოთა,

ვინცკი შეჭამა ეს პური ყველას კბილები დასკვინდა. **ს. თურმანაული?**

თუ ეწყინოს

სენაპის პედტექნიკუმის დირექტორმა— ევგენი ეჯიბინამ, სამოსწავლო წლის დასასრულს, ტექნიკუმის მე-12 გამოშვებას წინადადება მისცა — ეყიდნათ საათი და დაეჯილდოვებინათ იგი.

დაფაცურდნენ: კაკო, თინა, მიშა, ვანო, ნინა, ქეთო, რომ საათი შეიძინონ და დირექტორს გაუკეთონ.

რაკი ფული, ნაღდი ფული არა ქონდა სტუდენტ ნიკოს, ბატკანს ეცა და ასე თქვა: — დირექტორის სულის ეჭო.

ბაზრისაკენ გაეშურა და ბატკანი მიაყიდა. გამობრუნდა... მაგრამ ფული,

რომ არ ეყო სტუდენტ ლიდას, — კომისიას მოახსენა: — მეტი არ მაქვს, ეს იკმაროს, თუ ეწყინოს, დანაკლისი ატესტატში შეიტანოს... **ცინცხალი.**

კვაქსაც გაუთქვა სახელი

(ხაიში, სვანეთი)

ნიანგო, მოდი ხაიშიში, ექვთიმეს გაჰკარ კბილიო, არ დაიზარო, საშენო საკბილო არის ტკბილიო.

გამგეა სასადილოსი, მოხერხებული კაცია. მან სასადილო ხაიშის საკუთარ დუქნად აქცია.

კომბინატორობს, თაღლითობს, არ ვართ მოსთანის მხანველი, მისცა „შრომამ“ ასეთმა კვაქსაც გაუთქვა სახელი. **ს. ხაიშილი.**

ფუნდუგული—

ნახ. დონის

ბორჯომში საკასრე ქარხანაში წუნმდებლად მიიღეს ყოფილი ეანდარმი, რომელიც მანებლობას ეწევა



— არ ვარგაი წვეთი წყალი არ გავა რას გავს ახეთი მუშაობა?

ბაშა — აუცილებელი მოთხოვნაა ყურის ღრუში ჩასვლად. ზოგიერთი რადიკალური დროს, ხანდახან, ოპერებშიც გამოიყენება.

ბინამიტი — ერთგვარი ნამცხვარი. ზოგჯერ ყარაღონს კოლოფით იყიდება და სახელად ბუშკინი ეწოდება. ბისკვიტს სჭამენ, რადგან საკვებია, მაგრამ რას ერიან ბუშკინს, კაცმა არ იცის.

ბარათაშვილი — ცნობილი ქართველი მწერალი, ქართული ლიტერატურაში, ა. შ. „მთავლი სევილი“ გამოშვებული პოეტი. ზოგიერთი კრიტიკოსების გამოკვლევით დაიბადა 1845 წელს და გარდაიცვალა 1816 წელს.

ილია ჭავჭავაძე — მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი, ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელი. ტფილისის აღმასკომი ისე დიდ პატივს სცემს, რომ შეუძლებლად მიიჩნია მთაწმინდის გარდა სხვა ადგილს, ე. ი. ბარში ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზე მისი ძეგლის აგება.

კვირცხი — საკვებია, რომელსაც ხან ქათამი ღებს და ხან თვითონ ღებს ქათამს. (წაწილს სახით). ამიტომ ძველი ჰუმანისტება

ხშირად აყენებდნენ საკითხს: კვირცხი უფრო ადრე ვაჩნდა, თუ ქათამი? ძველი გადმოცემით, როცა ამ საკითხზე დაინტერესებულმა ქართველმა სემინარიელმა (სემინარიის მოწვევამ) დაუსვა საკითხი „ოილისას სასამართლოს“ ერთ მიხედვას:

— „რა უფრო ადრე ვაჩნდა: კვირცხი თუ ქათამი, —

— „ქათამი“ — უპასუხა უკანასკნელმა. სერთოდ მეფის მოხელეებს კვირცხიდან გამოჩევილი ქათამი და ქათამი ორივე უყვარდით და მათ ერთი შეორისვან ძნელად არჩევდნენ. ამიტომ ქათამის აღება ბედობად რაგორც უფლის სახით, აგრეთვე ნატურით (ღვინით, ქათმით, კვირცხით და სხ.).

კვირცხი საუკეთესო წამალია ხმა და ყარგულ მომღერლებისათვის ხმის აღსადგენად. „სამწყუხაროდ“ ხმა და ყარგულ კულავენს და სხვა გუროს ინტინაშობათა ელემენტებს შინც არ შეგლის და ხმას ველარ უბრუნებს.

კალოში — ყვავილია, რომელიც ვაზაფხულზე ამოდის სავაჭროების ვიტრინებში. შეშოდგომის პირზე „კანება“ და ხამთარში კი სანახავად სანატრელი ხდება.

მეღუჯა.

არის ყარაღონში საბჭოთა მეურნეობა და აი, ამ საბჭოთა მეურნეობას ჰყავს სამი „სტანანოვილი“ გამოგონებელი: გოგიჩაიშვილი, ვარსევანიშვილი და დავით რიანი.

„რა გამოგონესო“, თუ შეშეკითხებით — ვიამბობთ:

საბჭოთა მეურნეობაში კაზაკსტანის ფიშის სახამთროსი და ნესვის თესლი. გააჩინეს და მოამზიეს ხუთი შექტარის ფართობზე. ამოვიდა სახამთრო და ნესვი, მაგრამ რა ამოვიდა! „აუ თვალს არ ენახებოდით“ — რომ იტყვიან სწორედ ის იყო, დაკვირდნენ უშველებელ მიხედობზე, თუ მეურნეობას ზოგიერთი თანამშრომლის თავის ოღება სახამთრო, ნესვები (მაგრამ ცარელება არ ყოფილან) და საამური სანახავი იყო იჭაურობა.

დამწიფდა მოსავალი. დადგა მოკრეფის დღეც და საგონებელმა წაიღო ჩვენი აგრონომები:

— თელს რა ვუყოთ ბიჭო? — შეესიტყვა გოგიჩაიშვილი ვარსევანიშვილს — ყოველწელიწადს კაზაკსტანიდან ხომ არ მოვიტანთ?

— რა ბრძანებაა, მოლა მსარდინება ხომ არა ვართ, ავდგეთ და ჩვენ თვითონ შევიტანოთ. — უპასუხა ვარსევანიშვილმა.

— მერმე რამდენი უნდა შევიტანოთ, მერმის ხომ რამდენჯერმე შეტი უნდა დავთუხოთ წლევიდელზე, ამ ხატურდაკებს კი ვა ყიდის ვუბირებთ! — ვერ მოისვენა დეველი რიანი.

ბევრი იმსჯელებს თუ ცოტა, ეს ჩვენთვის სულ ერთია. დადგენილება კი ასეთი გამოიტანეს:

„სასწრაფოდ დირიგდეს საბჭოთა მეურნეობის ნესვისა და ხატურდაკის მთელი მოსავალი (55 ტონა) მეურნეობის მუშეში, და დეველოთ აუცილებლად შესკამონ ორი დღის განმავლობაში და თესლი მთლიანად ჩაგებარონ“.

დაიწყა ლაშქრობა: მუშები აჯერ უნას აცხადებდნენ, მაგრამ ბედს დამოაჩილდნენ.

— აბა, არ შეშარჯინოთ ბიჭებო! — ამბობდა აგრონომი ზეღამხედველი დეველარიანი — უნდა დარჩეს აუცილთი ხატურდაკი, აუცილთი ნესვი, ხომ გესმით. ვინც გეგმას ვაღიპარებთი შესარულებს და სხვადაც მიუხმარება ქაშაში, წითელ დაფაზე შეიკტანთ.

— აბა, აბა, მუშაობაში დამკრეოლები ხართ და ქაშაში რაგორ უნდა შეარჯვიოთ თქვენი! — დაუმატა გოგიჩაიშვილმა.

— რა ბედანია საშოკი ცალი სახამთრო და ნესვი, ჩემი ვალი რომ იყოს ერთ სახამთროში შეეკადი. — დაყოთო ვარსევანიშვილმა.

და „წახალისიბული“ მუშები რამდენიმე დღის ებრძოდნენ ორმოცდახუთმეტ ტონა სახამთროს. ებრძოდნენ და „დაანარცხეს“ კი-დევატ. შესრულდა აგრონომების გეგმა.

მაგრამ მაღარიასაც ჰქონდა თავისი საკლთარო გეგმა ყარაღონის რაიონში და ამ უკანასკნელმაც ასი პროცენტით შესარულდა თავისი ვანზახვა.

— რა ვუყოთ ახლა ამ ავადმყოფ მუშებს? — შეეკითხნენ აგრონომებს.

— რაგორ რა ვუყოთ, ეგენიც ხომ კაზაკსტანიდან შემოსატანოები არ არიან საბჭოთა მეურნეობის თესლივით, მუშების მეტი რა არის შესაძლებლად აგრონომებმა...

— უხმდებელი




— უხმდებელი ხუთ ადგილას არის ვაზ არუდა!

დიპლომატიურ საუბრებზე




უშედეგო გამოდევნება



— დავდვით პაქტი
— ვის წინააღმდეგ?



— მეგობრებო, უნდა შევიწროვდეთ, ჩვენი ახალი მეგობრები მოდიან.



— მშვიდობიანობის დროს რას აკეთებ?
— იტალიის დელეგატად ვარ ერთალიგაში



„სუფევა მშვიდობიანობისა და კაცთა შორის ხატონებისა“



— საფრანგეთის საქონლის არ ყიდვა ადვილია, მაგრამ იტალიური რითი ვიყიდო?



დღეს, თვითმფრინავიდან ხტებიან პარა-შუტით 2000-5000 მეტრის სიმაღლიდან. მათ გმირებს ვუწოდებთ. თქვენ ეს დიდი ამბავი გგონიათ.

ქრისტე კი ორიათასი წლის წინად გადმოხტა უფრო დიდი სიმაღლიდან. ამისი წერილობითი დოკუმენტი არსებობს „სიმბოლო სარწმუნოებაში“, სადაც სწერია: „და გარდმოხტა ზეცით“. ზეციდან ამ გადმოხტომას არაფრითარი მარცხი არ მოჰყოლია. მე ამ ფაქტის შესახებ იმით გწერთ, რომ დღეს იწერება ავიაციის ისტორია, რომელშიც მოხსენებული იქნება ყველა ის თავდადებული პირები, რომლებმაც წამოიწყეს ავიაცია. მე შგონია პირველობა ნათში ქრისტეს უნდა ხტდეს, რადგან მასზე ადრე არავინ გადმოხტარა ჰაერიდან.

ახლა მინდა შევეხო მორალის საკითხს ცოლ-ქმრობისა და ალიმენტის შესახებ. მართალია, ახლა დიდი ყურადღება ექცევა ოჯახის სიმტკიცესა და ცოლ-ქმრობის ურთიერთ დამოკიდებულებას, მაგრამ ამ საკითხში წინად მეტი სინდისიერება და კეთილშობილება იყო დაცული.

თქვენ ალბათ სახარებას არ კითხულობთ, მაგრამ მაინც გეცოდინებათ იესო-ქრისტეს დაბადების ამბავი. მამა მისი იყო მოხუცი დურგალი, მარტოხელა კაცი იოსები. მაგრამ მაინც შეცდა ახალგაზრდა ქალზე. მარიამზე. მერმე რა ფუყათ! მაგრამ მან განა მიატოვა მარიამი, როგორც ამას სჩადიან ჩვენი დროის ზოგიერთი ნამაკაცები, როცა ტოვებენ არა მარტო ახალშერთულებს, არამედ 15-20 წლის ეკლესიის წესით ჯგერდაწერილ ცოლსა შვილებით? ტოვებენ ისინი, რომლებიც კარგად ცხოვრობენ, ბევრ ფულს აკეთებენ. აჲ როდი მოიქცა საწყალი დურგალი, მოხუცი იოსები! მან როდის აიძულა თავისი ცოლი სასამართლოში წასულიყო ალიმენტის მისაღებად. მან იკისრა ახალგაზრდა ცოლისა და პატარა შვილის პატრონობა. იკისრა და პირნათლად შეასრულა. გაიზარდა მისი შვილი პატარა იესო და, ზომ ხედავთ, როგორი სხელოვანი კაცი გამოვიდა. ო, ვინ იცის რამდენი ასეთი დიდი კაცი გამოვიდა იმ უპატრონო პატარებიდან, რომლებიც იღუპებიან მამის დაუდევრობით.

დაახ, მე ნახუცარი ვარ, ნიანგო, მაგრამ სიმართლესა და კეთილშობილებას ვერ წაგვართმევ საღეთო პირებს. ვინაობას არ გწერ, თორემ ვიცი სასაცილოდ ამიგდებთ.

ნახუცარი.



ყველის ნაცვლად

ნიანგოჯან, მსურს გავაცნო მალაზია ორთაქალის, დაამყარა მან რეკორდი ფლანგვიასა და ყლაპვა-ჭამის.

„ქვებვაკრობის“ ეს სავაჭრო შეცხრაბეტე ნომერია, კაცს, იმისა შემხედდარეს თვალს ცრემლები მომერია.

გუშინ შალვა განაგებდა, (გვარად კვანტალიანია), შეუყვარდა ღვინო, ზურნა და მწვადები მცკრიანია.

მაშ რა ექნა: თათლში იჯდა მხო პქონდა და მოხმარა

და შემდეგ კი, აღწერის დროს, სადღაც გაპქრა, გაიპარა.

ლექსო დაჯდა იმის ნაცვლად, (თავაძეა გვარი მისი) ძველ გამგესთან შედარებით აღმოაჩინდა მას სინდისი:

იგი ახლა შინ არ ზიდავს, შალვასავით, კარაქს, შაქარს, მაგრამ ღვინოს შეუყვარდა: დღეში ხუთჯერ ნახავთ დამთვრალს.

ის საჯაჭოთ, აქეთ-იქით, თვეში ხუთჯერ მოვა. მივა, ამოაჩევის უცხო შეშვიდს: ყველია ნაცვლად მოაქვს თივა.

შ. რიყელი.

კაპულის (ქვიანი) ვაქვეყნებთ თქვენს ლექსის ნაწყვეტს: აქ ბაქანის ვაკეთება რკინის გზას აქვს განზრახული, მაგრამ ველარ მოვესწარით ვადიხ ხუთი ვაზაფხული. შეიძლება ამის გამოქვეყნებამ იმოქმედოს რკინის გზის სამმართველოზე და შეექვესე ვაზაფხულზე მაინც ავიწინოთ დახურული ბაქანი.

გურამს (ბათომში) მივიღეთ თქვენი ლექსები. ვაქვეყნებთ ერთ ნაწყვეტს: სილაღით და შევებით საფხე მე ჩემს სატრფოლ ვუმდერ ასე: ბულბულს ენა, ვარდს სინაზე მოვსტაცე და შეგთავაზე...

თვალს ნუ გვიხვევთ! ბულბული აქ არაფერ შუაშია: ბულბულისათვის კი არა, გრიშაშვილისათვის მოგიტაცებიათ მთელი ციტატები.

იბო ვუფისპირელს (იქვე) თქვენ ენებით ვინმე მოლარე ს. ძე-ლის, რომელიც თურმე ყოველდღე ათას მანეთს იჯობავს, თრი ცოლის პატრონი ყოფილა და მესამეს დასდევს.

აქ ცნობილი მოლარეა მოქალაქე ს. რე-ლია რა ვქნა, ვერ გაუძელიო. დღეში ხუთასი შემოდის და ათას კი იჯობებსო ირი ცოლის პატრონია და მესამესაც დასდევსო...

ამ ჩინებული ლექსს ავტორი არ შეიძლება არ იყოს ცნობილი „უფუის წყლის“ დამწერი, რომელიც ასე იწყება.

უფუის წყალი აღმა მიღის დიდება შენდა ღმერთო, შემოგვიარე-ჭიშკართან, შენ არ დამხვდი სახლში... და სხვ.

რაც შეეხება მოლარეს ს. რე-ლის, ჩვენ ვფიქრობთ ასეთი მოლარე უნდა დაჯილდოვებული იქნეს ნიანგის ორდენით, რადგან ხუთასი მანეთი შემოსავალი ქონია და ათას მანეთს კი თურმე იჯობებს.

ნემსს (ქ. მახარაძე) იწერებით ლექსად (მოგეყავს ერთი ადგილი): ამხანაგო ნიანგო, გთხოვთ ჩემსავით ერთა დღიო ქალაქ მახარაძეში ჩამოხვიდეთ და გვნახოთ. შეიაროთ პირველად აქ სადგურის ბუფეტში. ნახოთ იქაურები და ყველა გამილახოთ.

როგორც ჩანს სადგურის ბუფეტში არ აღმოჩენილა სტუმართ-მოყვარე ხალხი და თქვენ, ერთი დღის სტუმარი, უპურ-მარილოდ გამოუსტუმრებინართ. სამწუხაროა, რომ გურიისში მოუსპიათ ძველი ტრადიცია. გაცნობებთ, რომ ნიანგი მაინც აპირებს ესტუმროს ქ. მახარაძეს რამდენიმე დღით, უსათუოდ ინახულებს რკინის გზის ბუფეტს და თუ თქვენც იქ დახვდებით, შეიძლება ასეთი ლექსისათვის ჩანგლის წვერმა მაინც გასიამოვნოს.

ჩემდამცინისბზან თურნალ „ნიანგს“ № 14-15-ში მოთავსებული ცნობა გიორგი ნინუას შესახებ, რამ მან იწვილა ახობ-ძე რომლიდანაც თითქოს მიიღო 2600 მანეთი არ დადასტურდა.



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციონერების ახალი დადგენილება

მ. მ. რედაქტორი ს. მუხლი

რედაქცია ჭავჭავაძის ქ.

ტელეფონი 3-53-21

ს. მ. მთავრის ქ. „საბჭოთა დრო“ რედაქციის მისამართი: სტამბა, პეტ. ქ. 2137, მთავრ. ბ-72533 ტირაჟი 11,000